საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/599

ქ. თელავი „13“„09“ 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბერის ბრძანება №111/ნ -ის „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-5 მუხლისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (13.09.2017წ. N1063141) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017–2018 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღება განხორციელდეს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	12
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	8
3	გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური)	10
4	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	11
5	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5
6	ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)	6
7	ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური)	6
8	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	10
9	გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	11
11	სპორტი	8

2. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი /დედანთან ერთად;

გ) უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი (დედანთან ერთად) / ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;

დ) 2 ფოტოსურათი 3X4;

ე) სამხედრო ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (გაწვევას დაქვემდებარებული ვაჟებისათვის);

ვ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ;

3. საბუთების მიღება იწარმოებს 2017 წლის 21 სექტებრიდან 29 სექტემბრის 12 საათამდე, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე (საბუთების პირველადი შემოწმება, შემდეგ განცხადებები დანართებთან ერთად გადაიგზავნება უნივერსიტეტის კანცელარიაში).
4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდეს 2017 წლის 2 ოქტომბერს;

- ჩარიცხვა განხორციელდება, თუ პროგრამაზე ჩასარიცხ აპლიკანტთა რაოდენობა იქნება 2 ან მეტი;
- მისაღები გამოცდა შეფასდეს მაქსიმუმ 100 ქულით;
- მისაღები გამოცდის კომპეტენციის მინიმალურ ზღვრად განისაზღვროს 51 ქულა (პირი ჩაირიცხება თუ მისი გამოცდის ქულა იქნება 51 ან მეტი);
- ბოლო ვაკანტურ ადგილზე კონკურენციის პირობებში (გამოცდის არათანაბარი ქულების შემთხვევა) უპირატესობა მიენიჭოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მაღალ ქულას;
- ბოლო ვაკანტურ ადგილზე კონკურენციის შემთხვევაში (გამოცდის თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევა) უპირატესობა მიენიჭოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის მაღალ ქულას;

5. გამოცდების შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 2 ოქტომბერს;
6. გამოცდის შედეგების გასაჩივრების თარიღი განისაზღვროს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 3 ოქტომბერს 11 საათამდე;
7. ჩასარიცხ აპლიკანტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 3 ოქტომბრის 12 საათამდე;
8. დაევალოს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს:
   ა. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
   ბ. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 2017 წლის 15 სექტემბრამდე მიაწოდოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ვებ- გვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია გამოცდის პირობებთან დაკავშირებით;
   გ. საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების შექმნაზე სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა 2017 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით;
   დ. მისაღებ გამოცდაზე დაშვების შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2017 წლის 29 სექტემბრის 13 საათამდე;
   ე. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა 2017 წლის 2-3 ოქტომბერს;
9. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ.ბეჟანიშვილი) ბრძანების მიწოდება: თესაუ–ს განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისთვის;

10. დაევალოს ხარისხის უზრუმველყოფის სამსახურს რანჟირების დოკუმენტის მომზადება 2017 წლის 4 ოქტომბრის 16 საათის ჩათვლით;

11. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება თესაუ-ს ვებ.გვერდზე;

12. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილს);

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/